



მდგრადი განვითარების ცენტრი „რემისია“

წლიური ანგარიში

2018

ორგანიზაციის მოკლე აღწერა

მდგრადი განვითარების ცენტრი „რემისია“- მხარდაჭრას უწევს საქართველოს მთავრობასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მდგრადი განვითარების სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე. ორგანიზაციის მიზანია ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ტყეების, წყლის და სხვა ბუნებრივი რესურსების მართვის, ნარჩენების მართვის, ეკონომიკის განვითარების და სხვა სფეროებში საერთაშორისო დონეზე განხორციელებული მდგრადი მართვის პროცესების შესახებ ცოდნის, მეთოდოლოგიებისა და ტექნოლოგიების ქვეყანაში შემოტანის ხელშეწყობა. ეროვნული და ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება რემისიის სტრატეგიულ მიზნებს შორისაა.

მისი მისიის განხორციელებისას რემისიის ძირითადი მიდგომაა ფოკუსირება მოახდინოს ისეთ სექტორებზე, ეკოსისტემებსა და რეგიონებზე, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან კლიმატის ცვლილების რისკების მიმართ ან ხელს უწყობენ კლიმატის ცვლილების მიმდინარე პროცესების კიდევ უფრო გაძლიერებას.

რემისიის საქმიანობის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობა, ადამიანის უფლებების დაცვა და გენდერული საკითხების ინტეგრაცია გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესებში.

მდგრადი განვითარების ცენტრი რემისია აღიარებს მდგრადი განვითარების პრინციპებს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში და თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგ მიმართულებებში:

ა) წვლილი შეაქვს კლიმატის ცვლილების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციის, კიოტოს პროტოკოლის, პარიზის შეთანხმების, მერების შეთანხმების და სხვა დამხმარე კონვენციებისა თუ შეთანხმებების განხორციელებაში. კერძოდ, რემისიის საქმიანობა ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- სათბურის გაზების ინვენტარიზაცია;
- სათბურის გაზების ემისიების შემცირება;
- გარემოსადმი კეთილგანწყობილი ტექნოლოგიების შემოტანა და დანერგვის ხელშეწყობა;
- კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის შეფასება და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებისა და ეკოსისტემებისათვის ადაპტაციის ღონისძიებების მომზადება, მათი განხორციელების ხელშეწყობა;
- კლიმატის ცვლილებების და მისი შედეგების მონიტორინგი;

- კლიმატის ცვლილების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციის, კიოტოს პროტოკოლითა და პარიზის შეთანხმებით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელება.

ბ) მდგრადი განვითარების პროექტების შემუშავება, ფინანსების მოძიება/მოზილიზება და განხორციელების ხელშეწყობა;

გ) მდგრადი განვითარებისა და კლიმატის ცვლილების საკითხებზე საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობა;

დ) ადგილობრივი ექსპერტების მომზადება კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციის, კიოტოს პროტოკოლის, პარიზის შეთანხმებისა და მდგრადი განვითარების სხვა აქტივობების საკითხებში;

ე) ცნობიერების ამაღლება ზემოთ აღნიშნული პროცესების შესახებ;

ვ) კონსულტაციების გაწევა სამთავრობო სააგენტოების, კერძო სექტორისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისთვის.

ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი აქტივობა, რომელიც არ არის კანონსაწინააღმდეგო და ემსახურება აღნიშნული მიზნების განხორციელებას.

ქვემოთ წარმოდგენილია მოკლე ანგარიში რემისიის 2018 წლის საქმიანობის შესახებ.

I. 2018 წელს მიმდინარე და ახალი პროექტები

2018 წელს რემისიაში მიმდინარეობდა მხოლოდ ერთი პროექტი

პროექტი	თი-ბი-სი ბანკის ლიზინგის პროგრამის მხარდაჭერა ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და პროექტების იდენტიფიცირებაში
დონორი	მწვანე ზრდის ფონდი (GGF, გერმანია)
განმახორციელი	რემისია
ელებელი	
პერიოდი	2017-2019
სტატუსი	მიმდინარე

პროექტის აღწერა

პროექტი მიზნად ისახავს დაეხმაროს თი-ბი-სი ბანკის ლიზინგის პროგრამას და კონსულტაციები გაუწიოს ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შემოტანასა და პროექტების განხორციელებაში, დაეხმაროს ბანკის შესაბამის სტრუქტურას ცოდნის ამაღლებაში ენერგოეფექტურ საკითხებზე, მოახდინოს დაზოგილი ენერჯისა და შემცირებული სათბური გაზების წინასწარი შეფასება და შემდგომი ვერიფიკაცია. მას შემდგომ რაც რემისია და მისი კონსულტანტები დაადასტურებენ, რომ ტექნოლოგია ენერგოეფექტურია, შესაბამისი პროექტი უფლებამოსილი ხდება მიიღოს მწვანე ზრდის ფონდის კრედიტი, რომელიც განკუთვნილია ენერგოეფექტურობის გასაზრდელად.

მიმდინარე წელს მიღწეული ძირითადი შედეგები:

2018 წელს რემისიის მიერ ჩატარებული იქნა ორი სამუშაო შეხვედრა თი-ბი-სი ბანკის ლიზინგის პროგრამის თანამშრომლებთან და მოხდა მათი დატრენინგება ენერგოეფექტური ტექნოლოგიების სფეროში. ლიზინგის პროგრამის თანამშრომლებს მიეწოდათ ინფორმაცია სტანდარტული და არასტანდარტული ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შესახებ და ჩაუტარდათ ტრენინგი ელექტრონული პროგრამის შესახებ, რომლითაც ხდება ენერგოეფექტურობის შეფასება და შედეგების არქივირება. პარალელურად „რემისია“ მთელი წლის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფს ლიზინგის პროგრამას კონსულტაციებით კონკრეტული შემოსული ტექნოლოგიის ენერგოეფექტურობის შესახებ და შესაბამისად დაზოგილი სათბური გაზების შესახებ. ძირითადი

ტექნოლოგიები რომელთა შეფასებაც მოხდა 2018 წელს არის ჰიბრიდული ავტომობილები და მოსავლის ამღები კომბაინები.

II. სხვა განხორციელებული აქტივობების აღწერა:

ორგანიზაციული განვითარება– 2018 წელს გაგრძელდა ორგანიზაციის ოპერაციული და ფინანსური სახელმძღვანელოს განახლება შიდა და გარე აუდიტის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

რემისია აქტიურადაა ჩართული ყველა მიმდინარე პროცესებში, მონაწილეობდა მაღალი დონის შეხვედრებში მწვანე ეკონომიკასთან დაკავშირებით. სხვა არასამთავრობოებთან ერთად ჩართულია ადგილობრივი მთავრობებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლებაში საქართველოს მიერ „პარიზის შეთანხმებით“ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ და თუ რა სიკეთეები შეუძლია მოუტანოს ქვეყანას, რეგიონებსა და ადგილობრივ მოსახლეობას ამ ღონისძიებების ეფექტურად განხორციელებამ, როგორი უნდა იყოს მათი როლი და აქტივობა ამ მიმართულებით.